

ადრეული ინკლუზიური განათლების გამოწვევები პრაქტიკაში
განვითარების სხვადასხვა ეტაპზე მყოფი ორი ბავშვის ვიდეო
დაკვირვების მაგალითზე

გვანცა ყაველაშვილი

ანა მარგიშვილი

ქრისტინა წერეთელი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო
უნივერსიტეტის ხელოვნებისა და მეცნიერების ფაკულტეტზე
სპეციალური განათლების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების
მოთხოვნების შესაბამისად*

სპეციალური განათლება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ხათუნა დოლიძე, ასოცირებული

პროფესორი

თანახელმძღვანელი: ნინო გოგიჩაძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2018

განაცხადი

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორები, ვაცხადებთ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩვენს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

გვანცა ყაველაშვილი

ანა მარგიშვილი

ქრისტინა წერეთელი

2018 წელი

აბსტრაქტი

2008 წლიდან ეტაპობრივად მუშავდებოდა და იწერებოდა ადრეული განათლების დაწესებულებებში ხარისხიანი განათლების სტანდარტები, რაც ინკლუზიური განათლების დანერგვის პირველი მცდელობა იყო, თუმცა, ამას არ ექონდა გლობალური სახე. 2016 წლის 8 ივლისს პარლამენტის მიერ დამტკიცდა კანონი „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“, რომელმაც დიდი გავლენა მოახდინა უკვე არსებულ მიდგომებზე და ჩამოაყალიბა სრულიად ახალი ხედვა ხარისხიანი ადრეული განათლების შესახებ. ამას, მალევე მოჰყვა „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტების“ შექმნა, რამაც საშუალება მისცა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მოეხდინა ადრეული განათლების პრაქტიკის ხარისხის შემოწმება/მონიტორინგი.

გამომდინარე იქიდან, რომ განათლების ხარისხის დოკუმენტი ახალი დამტკიცებულია (2017 წლის 30 ოქტომბერი) არ არის ამოქმედებული სტანდარტის პრაქტიკასთან შესამაბისობის შესამოწმებელი მექანიზმები და მონიტორინგი. ამგვარად, ჩვენი ინტერესის საგანი გახდა პრაქტიკაში გვენახა ინკლუზიური განათლების ხარისხის სტანდარტთან შესაბამისობა და ამჟამინდელი გამოწვევები ორი ბალის მაგალითზე.

პრაქტიკული კვლევა ჩატარდა ქ. თბილისის ორ საჯარო ბაღში. ამ ორი ბაღიდან ერთი იყო 2009 წლიდან პორტიჯის მიერ ბაგა-ბაღებში ინკლუზიური განათლების დანერგვისათვის შერჩეული 20 საპილოტე ბაღიდან ერთ-ერთი, ხოლო მეორე 2017 წელს გახსნილი და ინკლუზიური განათლების მხრივ ნაკლები გამოცდილებისა და ცოდნის მქონე. ორივე ბაღიდან შეირჩა 3-4 წლიანთა თითო ჯგუფი, რომლებშიც სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვები იყვნენ. კვლევისათვის გამოვიყენეთ პროცესზე ვიდეო და ფონური დაკვირვება და სიღრმისეული ინტერვიუ აღმზრდელ-პედაგოგებთან, აღმზრდელებთან და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვების მშობლებთან.

პრაქტიკის კვლევის ანალიზმა გვაჩვენა, რომ პილოტირების მონაწილე ბაღში უფრო მაღალია სტანდარტთან შესაბამისობა, უფრო თანმიმდევრულია სტრატეგიების (პოზიტიური ურთიერთობები და თანამშრომლობის ჩამოყალიბება, ბრაზისა და სხვა ემოციების მართვა/რეგულირება, ასერტულობისა და ემპათიის უნარის განვითარება, ინდივიდუალური მიდგომა ბავშვთან, ინდივიდუალიზაცია) გამოყენებაში, ასევე მეტად მორგებულია ბავშვის საჭიროებებსა და ინდივიდუალურ თავისებურებებზე, ვიდრე ნაკლები გამოცდილების მქონე ბაღი. ასევე, კვლევამ გამოავლინა, რომ პილოტირების მონაწილე და ნაკლები გამოცდილების მქონე ბაღები ინკლუზიური განათლების თვალსაზრისით განსხვავებული გამოწვევების წინაშე დგანან.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ადრეული ინკლუზიური განათლება;
ინკლუზიური განათლების პრაქტიკა;

Abstract

Qualitative educational standard had been preparing and implementing step by step in the earlier educational institutions since 2008, which was the first attempt of implementation of inclusive education, but it was not widely-spread trend. On the 8th of July of 2016 the parliament of Georgia adopted the law regarding *Pre-school And Earlier Education*“ which greatly influenced on existing approaches and methodology and created quite new viewpoint about earlier qualitative educational system. Then the later was followed by the creation of: *Pre-School And Earlier Educational State Standards*, which gave the opportunity to the Ministry Of Education to check and monitor the quality of the earlier educational practice.

Because of the fact, that the document of qualitative education has been recently adopted (30 October of 2017), the mechanism and monitoring relevance of Standards with practice has not been put into force yet. Correspondingly, the topic of our research is to find out the relevance of inclusive qualitative education in practical viewpoint with it's standard as well as present challenges based on the case-study model of two kindergartens.

The practical comparative research has been made into two kindergartens of Tbilisi city. Out of these two kindergartens, one of them was the experimental kindergarten, selected by Portige since 2009 to implement inclusive educational system and the other one was the less-experienced kindergarten of having inclusive approach opened in 2017. Out of these two kindergartens 3-4 year single child groups had been selected, which presented the special educational needs. For our research process, we used video and background observation and some interviews with educators, teachers and parents of the children of special educational needs.

According to our research analysis, we found out, that it's much more high standard relevance and correlation of approaches (positive relations, development of individualism, empathy and assertiveness, management of anger and mechanisms of individual approaches) in those experimental kindergartens. Also, these approaches are more used and fitted on the children needs and their individual characteristics in the first highly-experienced kindergarten

than in less-experienced one. In addition, the analysis showed that our research objects - experimental (experienced) and less-experienced kindergartens, both of them face different challenges regarding inclusive educational system.

Key words: “early inclusive education”; “practice of Inclusive education”.

მადლობა

მადლობას ვუხდით ჩვენს ხელმძღვანელს ქ. ხათუნა დოლიძესა და თანახელმძღვანელს ქ. ნინო გოგიჩაძეს ნაშრომის წერის პროცესში გაწეული დახმარებისათვის, რეკომენდაციებისა და რჩევებისათვის.

ასევე, კვლევაში მონაწილე ბალების ხელმძღვანელებს, რომლებმაც ნება დაგვრთეს ჩაგვეტარებინა კვლევა აღნიშნულ ბალებში. ბალების აღმზრდელ-პედაგოგებს, აღმზრდელებს, სსსმ ბავშვების მშობლებსა და ბალების აღსაზრდელებს კვლევაში მონაწილეობის მიღებისა და თანამშრომლობისათვის.